მარინა ხარაბედია, ლელა გოგორიშვილი

გდანსკის უნივერსიტეტი, პოლონეთი

,,22-26 აპრილს, სამუშაო ვიზიტით, Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, ვიმყოფებოდით გდანსკის უნივერსიტეტში, პოლონეთი.

მობილობას უმასპინძლეს კოლეგებმა საერთაშორისო დეპარტმენტიდან, რომლებთანაც დღემდე გვაკავშირებს თბილი და გულისხმიერი მეგობრობა. ჩვენმა მასპინძლებმა შემოგვთავაზეს უნივერსიტეტის იმ სფეროს სამუშაო პროცესებში ჩართვა და გამოცდილების გაზიარება, რა მიმართულებითაც ჩვენ კავკასიის უნივერსიტეტში ვმუშაობთ.

უნივერსიტეტში ვიზიტის პროგრამის ფარგლებში, ასევე დაიგეგმა ვიზიტი გდანსკის უნივერსიტეტის არქივში, ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო იქაური გამოცდილების გაზიარება. გავეცანით საქმისწარმოების დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკასაც. გავცვალეთ აზრები და გამოცდილება, მინდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე საკითხი მათთვის ძალიან გამოსადეგი და ახალი იყო.’’